B21055749

გადახდის ნომერი: **EN2075234**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B21055749**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 03/06/2021 16:49:46
განცხადების ნომერი: 2075234
განცხადების მიღების დრო: 03/06/2021 16:48:07

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: ზაზა ჩიხრაძე/01021008951/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს ენგურჰესი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **251716371**

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება
- ბრძანება

მომსახურება: 1 დღის ვადაში 0 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

2075234

გადახდის ნომერი: EN2075234

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: **ზაზა ჩიხრაძე**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **01021008951**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, III მიკრო/რაიონი, V კვარტალი, კორპუსი 20, ბინა 22**

განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

დასახელება: **შპს ენგურჰესი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **251716371**

შესაცვლელი რეკვიზიტი

- წესდების ცვლილება

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება
- ბრძანება

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია

მომსახურება : 1 დღის ვადაში 0 ლარი

განმცხადებელი პირი: ----------/ ზაზა ჩიხრაძე /

განცხადების წარდგენის თარიღი: 03/06/2021 16:48:07

KA020155607163821

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
ბრძანება

№ 1-1/225 03 / ივნისი / 2021 წ.

შპს „ენგურჰესის“ წესდების დამტკიცების შესახებ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „ენგურჰესის“ წესდების, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის № 70 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე და შპს „ენგურჰესის“ 01.06.2021წ. N01/153 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს „ენგურჰესის" წესდება ახალი რედაქციით (თან ერთვის).

2. წესდებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული რეფორმებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს ზაზა ჩიხრაძეს (პ.ნ. 01021008951).

3. დაევალოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს (ლევან მებონიას) უზრუნველყოს შპს „ენგურჰესის“ წესდების დადგენილი წესით რეგისტრაცია.

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

მინისტრი ნათელა თურნავა

დამტკიცებულია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების მინისტრის

2021 წლის 3 ივნისის N 1-1/225

ბრძანებით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"ენგურჰესი"

წ ე ს დ ე ბ ა
(ახალი რედაქცია)

თბილისი

2021 წელი

მუხლი 1. საერთო დებულებები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ენგურჰესი" (შემდგომში კომპანია) შექმნილია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებსაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
3. კომპანია წარმოქმნილია სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. კომპანიის სამართლებრივი ფორმა

1. კომპანიის სამართლებრივი ფორმაა "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება", შემოკლებით - შპს.
2. იგი წარმოადგენს იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობით.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ენგურჰესი"-ს, როგორც იურიდიული პირის უფლებამოსილება, ძალაში შედის სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის დღიდან.
4. კომპანიის სრული დასახელება:
1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენგურჰესი".
5. კომპანიას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში ან ანგარიშები ბანკში, მას შეიძლება ქონდეს კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, ბეჭედი, საფირმო და სასაქონლო ნიშნები.
6. კომპანიის იურიდიული მისამართია:
2. საქართველო, ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩა #8.
7. კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@engurhesi.ge

მუხლი 3. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. კომპანია ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით:
ა) ელექროენერგიის წარმოება - რეალიზაცია;
ბ) ელექტროენერგიის ექსპორტი ან/და იმპორტი;
გ) არსებული ფინანსური ან/და მატერიალური აქტივების მიზნობრივად გამოყენება და მართვა;
2. კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კომპანიისა და პარტნიორის ინტერესებს;
3. კომპანიის ძირითადი მიზანია მოგების მიღება, წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის შედეგად.

მუხლი 4. კომპანიის კაპიტალი

1. კომპანიის კაპიტალი შედგება მის მფლობელობაში არსებული მთელი ქონებისაგან (მათ შორის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 208343537,69 (ორასრვა მილიონ სამასორმოცდასამი ათას ხუთასოცდაჩვიდმეტი ლარი 69 თეთრი) ლარს);
2. კომპანიის კაპიტალში წილთა 100%-ის მფლობელია სახელმწიფო;

3. დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, კომპანიას უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აიღოს მიზნობრივი სესხები, მოიზიდოს თავისუფალი სახსრები, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისაგან;
4. კომპანიის კაპიტალი (საწესდებო) შეიძლება შეიცვალოს პარტნიორის გადაწყვეტილებით;
5. კაპიტალის ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას არ საჭიროებს;
6. კაპიტალში არაფულადი შენატანის ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ექსპერტი (აუდიტი);
7. კომპანიის პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილებების რეგისტრაციას ახორციელებს თავად კომპანია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამოწმებული გარიგების საფუძველზე.

მუხლი 5. პარტნიორის უფლება-მოვალეობანი

1. კომპანიის პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მათ შორის, კომპანიის კაპიტალში წილების პრივატიზებას ან/და სხვა წესით განკარგვის უფლებამოსილებას;
2. კომპანიის პარტნიორი მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებს პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით.
3. პარტნიორი იღებს გადაწყვეტილებას კომპანიის წმინდა მოგების ან სხვა საკუთრების განაწილებაზე;
4. პარტნიორს უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოსგან წერილობით მოითხოვოს დირექტორების თანამდებობაზე დანიშვნა ან გათავისუფლება;
5. დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

მუხლი 6. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოები

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) პარტნიორთა საერთო კრება;

ბ) სამეთვალყურეო საბჭო;

გ) დირექტორთა საბჭო

მუხლი 7. პარტნიორთა საერთო კრება

1. კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება.
2. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების წესი განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. პარტნიორთა კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, რომელზეც სავალდებულო განხილვას ექვემდებარება წლიური საფინანსო-სამეურნეო ანგარიშის (ბალანსის) დამტკიცება, დირექტორთა საბჭოს ანგარიშისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება, ბიზნეს-გეგმის დამტკიცება და წმინდა მოგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენება.
4. კომპანიის პარტნიორს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე დირექტორს შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება პარტნიორისათვის შესაბამისი წერილის გაგზავნით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში.
5. პარტნიორთა კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში მოადგილე, მოადგილის არყოფნისას დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. ზემოაღნიშნულ პირთა არ ყოფნისას პარტნიორთა კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს პარტნიორთა კრება.
6. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე კრების თავმჯდომარე ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და პარტნიორის უფლებამოსილი პირი.
7. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების ახალი სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

ბ) კომპანიის სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების შეტანა;

გ) იურიდიული პირების დაფუძნება/დაფუძნებისას წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრა, მათ შორის, ფილიალების შექმნა/დაფუძნება და ლიკვიდაცია;

დ) წმინდა მოგების გამოყენება;

ე) წლიური საფინანსო შედეგების დამტკიცება;

ვ) დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;

ზ) კომპანიის ბიზნეს-გეგმის დამტკიცება;

თ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა და გამოწვევა; მათთვის შრომის ანაზღაურების განსაზღვრა; საჭიროების შემთხვევაში სხვა ხარჯების განსაზღვრა, რომლებიც დაკავშირებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიერ მათი უფლებამოსილების განხორციელებასთან;

ი) აუდიტორის არჩევა;

კ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

ლ) კომპანიის მიერ უძრავი ქონების, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ფორმებით შესაბამისი ქონების გადაცემა, გასხვისება, დატვირთვა, ჩამოწერა, ჩვეულებრივი საქმიანობის გარდა, ხორციელდება პარტნიორთან შეთანხმებული ქონების განკარგვის წესის შესაბამისად;

მ) სხვა კომპანიის წილებისა და აქციების შეძენა და გასხვისება;

ნ) მიმდინარე კრედიტებისა და სასესხო საშუალებების აღება, რომელიც აღემატება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს;

ო) კომპანიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

პ) კომპანიის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაცი(ებ)ის დაფუძნება (დაფუძნებაში მონაწილეობა) ან/და მათში გაწევრიანება.

8. პარტნიორის წერილობითი გადაწყვეტილება, წერილი ბრძანება, კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად.

მუხლი 8. სამეთვალყურეო საბჭო

1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება პარტნიორთა საერთო კრების მიერ არჩეული 5 (ხუთი) წევრისაგან.
2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა ერთი წლის ვადით, მაგრამ უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი პარტნიორთა საერთო კრების ჩატარებამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია პარტნიორთა კრების მიერ ნებისმიერ დროს.
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი.
4. სამეთვალყურეო საბჭოს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მოადგილეს (მოადგილეებს). თავმჯდომარე (მისი არყოფნისას _ მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 3 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით.
6. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც.
7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეიძლება მიეცეს ანაზღაურება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, ასევე განისაზღვროს სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიერ მათი უფლებამოსილების განხორციელებასთან;
8. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

ა) სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა საბჭოსაგან კომპანიის საქმიანობის ანგარიში;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს კომპანიის ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები;

დ) სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება, თუ ამას კომპანიის ინტერესები მოითხოვს;

ე) სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს პარტნიორთა საერთო კრებას;

ვ) პარტნიორთან წერილობითი შეთანხმებით ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს და განსაზღვრავს მათთვის შრომის ანაზღაურებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებას;

ზ) იხილავს და პარტნიორთან ათანხმებს კომპანიის მიერ მიმდინარე კრედიტებისა და სხვა სასესხო საშუალებების აღებას, რომელიც ცალკე ან მთლიანად სამეურნეო წლის განმავლობაში აღემატება 1000 000 (ერთი მილიონ) ლარს;

თ) იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე (მათ შორის რეაბილიტაციის მიმდინარეობის დროს) წარმოშობილი ჯართის, ამავე ტერიტორიაზე რეალიზაციის (გასხვისების) შესახებ, იმ დროისათვის და იმ ტერიტორიაზე არებული ფაქტობრივი ფასით;

ი) იხილავს ისეთ საკითხებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას.

9. სამეთვალყურეო საბჭო იხილავს და დამტკიცების შემდეგ ყოველკვარტალურად ისმენს ინფორმაციას კომპანიის ბიზნეს-გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
10. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება წინამდებარე წესდებით, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 9. დირექტორთა საბჭო

1. კომპანიას ჰყავს 4 დირექტორი, რომლებიც ქმნიან დირექტორთა საბჭოს, შემდეგი შემადგენლობით:

    - დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;
    - ფინანსური დირექტორი;
    - ტექნიკური დირექტორი;
    - კომერციული დირექტორი.

2. პარტნიორთან წერილობითი შეთანხმებით დირექტორებს ნიშნავს და ნებისმიერ დროს ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო.
3. კომპანიის მიმდინარე ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;
4. მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში კომპანიას წარმოადგენენ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე (ერთპიროვნულად) და ფინანსური დირექტორი (ერთპიროვნულად);
5. თუ საწარმო გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, დირექტორთა საბჭომ ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ კომპანიის გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არა უგვიანეს სამი კვირისა, უნდა განაცხადოს ამის თაობაზე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ".
6. საქართველოს კანონით დადგენილი წესით და 10 დღით ადრე წერილობით აცნობოს პარტნიორს.
7. დირექტორთა საბჭო, ასევე ვალდებულია აცნობოს პარტნიორს და სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის ქონებაზე მოსალოდნელი ყადაღის დადების საშიშროების შესახებ.
8. დირექტორებთან ურთიერთობები რეგულირდება წინამდებარე წესდებით, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 10. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების პასუხისმგებლობა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე წესდებით, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. წლიური შედეგები

1. წლიური შედეგები აისახება კომპანიის ბალანსში და საბუღალტრო ანგარიშებში, რომელსაც დირექტორთა საბჭო უდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, რომლის განხილვის შემდეგ წარუდგენს პარტნიორთა კრებას საფინანსო წლის შედეგების მიხედვით.
2. დირექტორთა საბჭო ადგენს წლიურ საფინანსო და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშს, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს განსახილველად. წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს პარტნიორთა კრებას. თუ დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდნენ წმინდა მოგების განაწილების წინადადებაზე, მაშინ წმინდა მოგების ორივე წინადადება უნდა აცნობონ პარტნიორთა კრებას.
3. წმინდა მოგების გამოყენების საკითხს დადგენილი წესით წყვეტს პარტნიორთა კრება.

მუხლი 12. აღრიცხვა და ანგარიშგება

1. საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას კომპანია ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით.
2. დირექტორთა საბჭო, კომპანიის ბიზნეს-გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალურ ინფორმაციას წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის დასრულებამდე, ხოლო წლიურ ინფორმაციას ბალანსთან ერთად.
3. სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 13. კომპანიის საქმიანობის კონტროლი

1. კომპანიის დირექტორთა საქმიანობას აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭო და პარტნიორთა კრება.
2. კომპანიის საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის (გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო შემთხვევებისა, როდესაც აუდიტორის შერჩევა ხდება პარტნიორთან წერილობითი შეთანხმებით) კომპანია იწვევს დამოუკიდებელ აუდიტორს;

მუხლი 14. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. კომპანიის არსებობის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით:
   ა) რეორგანიზაციით (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა);
   ბ) ლიკვიდაციით.
2. კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება ან სასამართლო, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
3. პარტნიორთა კრება კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიხედვით.

4. კომპანიის ლიკვიდაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.
5. კომპანიის ლიკვიდაციის რეგისტრაციას და სამეწარმეო რეესტრიდან მის დაუყოვნებლივ ამოშლას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. კომპანიის რეორგანიზაცია ხორციელდება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 15. დამატებითი პირობები

1. თუ წესდების ერთი ან რამდენიმე დებულება (მუხლი) დაკარგავს ძალას, ეს არ გამოიწვევს წესდების გაუქმებას.
2. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება პარტნიორთა კრების მიერ.
3. წესდების ყველა ცვლილება და დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.
4. კომპანიის მოქმედი წესდება ინახება თავად კომპანიაში.
5. წესდება შედგენილია 5 ეგზემპლარად, ყველა ეგზემპლარს ერთნაირი იურიდიული ძალა გააჩნია.

პარტნიორის სახელით:

ზაზა ჩიხაძე

_____

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სოჯარი რეესტრის ეროვნული სააგენტო
ზღვაური № 451
თარიღი "3" ივნისი 2021 წ.

პირადი ნომერი	01021008951
სახელი	**ზაზა**
მამის სახელი	ამირანი
გვარი	**ჩიხრაძე**
დაბადების თარიღი	1976-09-17T00:00:00
დაბადების ადგილი	საქართველო, თბილისი
მისამართი	**საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, III მიკრო/ რაიონი, V კვარტალი, კორპუსი 20, ბინა 22**
პირადობის მოწმობის სერია	18IB48073
მოწმობის გამცემი ორგანო	იუსტიციის სამინისტრო
გაცემის თარიღი	2018-09-21T00:00:00
მოქმედების ვადა	2028-09-21T00:00:00
მოქალაქეობა	საქართველო
ორმაგი მოქალაქეობა	()
რეგ. თარიღი	2012-05-31T00:00:00
სტატუსი	**აქტიური**
ფოტოები	

ბეჭდვა